

## ჰესები - მითები და სინამდვილე

ჰესებთან დაკავშირებულ დისკუსიაში ხშირად ვხვდებით არასწორი ინფორმაციით მანიპულირებას. გავრცელებული მოსაზრებების მნიშვნელოვანი ნაწილი ემსახურება საქართველოსთვის ახალი ჰესების სარგებლიანობის დაკნინებას, მათი საფრთხეების გაზვიადებას და ყურადღების გადატანას სხვა, ნაკლებ რეალისტურ ალტერნატივებზე. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

**მოსაზრება:** ჰესები მოძველებული და დისკრედიტებული ტექნოლოგიაა- კაცობრიობა წყვეტს დიდი ჰესების მშენებლობას და გამოყენებას და ახდენს ჰესების დემონტაჟს ევროკავშირი ახალ, დიდ და კასკადურ ჰესებს აღარ აშენებს.

### არ შეესაბამება სიმართლეს

✔ განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) მონაცემებით, ჰესების სიმძლავრე ბოლო ათწლეულში გაიზარდა 30%-ით, 271 000 მეგავატის ოდენობით, რაც საქართველოში მოქმედი ჰესების სიმძლავრეზე 80 ჯერ მეტია.

წყარო: IRENA - <https://www.irena.org/hydropower>.

✔ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ინტენსიურად ავითარებს ჰიდროენერგეტიკას. ევროკავშირი ჰესებს განიხილავს როგორც ერთ-ერთ საკვანძო ტექნოლოგიას, რომლის პოტენციალის 60-70% აქვს ათვისებული. ევროკავშირი განაგრძობს კაშხლიანი და ჰიდრომააკუმულირებელი სადგურების განვითარებას, არსებული სადგურების ეფექტიანობის გაზრდას და არსებული კაშხლების ამალვებას მეტი წყლის შესანახად.

წყარო: ევროკომისია - <https://bit.ly/2QmjAue>, <https://bit.ly/3wW1lak>

**მოსაზრება:** ჰესების ალტერნატივა ქარის და მზის ენერჯიაა - თანამედროვე მსოფლიო სრულად გადადის ქარისა და მზის ენერჯიაზე. აღნიშნული ტექნოლოგიების გაიაფების გამო, ქვეყანამ ჰიდროელექტროსადგურები არ უნდა ააშენოს და ქარის და მზის სადგურები უნდა განავითაროს. ნაწილობრივ მართალი, თუმცა, არარეალისტური:

### ნაწილობრივ მართალი, თუმცა, არარეალისტური:


✔ მართალია, რომ ქარის და მზის ტექნოლოგიები ინტენსიურად ვითარდება და იაფდება, მაგრამ არსად მსოფლიოში ეს პროცესი არ მოიაზრება როგორც ჰესების ალტერნატივა. ცვალებადი განახლებადი ენერჯის წყაროები განიხილება წყალსაცავიან და ჰიდრომააკუმულირებელ სადგურებთან კომბინაციაში, როგორც ერთმანეთის შემავსებელი. სწორედ წყალსაცავიანი ჰესები იძლევა ქარის და მზის ენერჯის მნიშვნელოვანი სიმძლავრეების ქსელში ინტეგრირების ოპტიმალურ შესაძლებლობას.

შედარებისთვის, ნამახვანჰესის ტოლი გამომუშავების ქარის და მზის სადგურების შესაძლებლობების მიახლოებითი შეფასება შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს გვერდზე. საქართველოში მზის და ქარის ენერჯის ქსელში ინტეგრირების შესაძლებლობები მოყვანილია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში, დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს ენერჯოსისტემაში შესაძლებელია 333 მგვტ ქარის და 130 მგვტ მზის სადგურების ინტეგრირება (პოტენციალის 25%).

წყარო: სსე <https://bit.ly/3mNIVut>

**მოსაზრება:** ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსგან მოითხოვს არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციას, როგორც ახალი ჰესების მშენებლობის ალტერნატივას. იგივე მოსაზრება გამოითქმის ახალი გარემოსდაცვითი კოდექსის მიმართ იმ მინიშნებით, რომ არსებული ჰესები საფრთხის შემცველია და/ან მათი რეაბილიტაცია ჩაანაცვლებს ახალი ჰესების საჭიროებას.


### არ შეესაბამება სინამდვილეს.

-  აღნიშნულ დოკუმენტებში ასეთი მოთხოვნები და ჰესების საფრთხეზე მინიშნება არ იძებნება. ასოცირების შეთანხმების 298-ე მუხლი განსაზღვრავს ევროკავშირთან თანამშრომლობის მიმართულებებს და მიუთითებს: „(ი) განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება და ხელშეწყობა, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდება ჰიდრო რესურსებზე, და ამ სფეროში ორმხრივი და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა“

წყარო: ასოცირების შესახებ შეთანხმება - <https://bit.ly/2DljLzi>  
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი - <https://bit.ly/2Xb8jNO>

**მოსაზრება:** საქართველოში არსებული ჰესები არაეფექტურად მუშაობს და ვერ გადიან საპროექტო გამომუშავებაზე.


### არ შეესაბამება სინამდვილეს

-  არსებული საშუალო და დიდი ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება 2016-2019 წლებში ჰიდროელექტროსადგურების საპროექტო გამომუშავების დაახლოებით 83% იყო (და არა ნახევარი ან მეოთხედი). აღნიშნული მაჩვენებელი, გარდა მცირე ნალექიანობისა, გამონვეული იყო კონკრეტული ობიექტური მიზეზებით, მათ შორის ენგურჰესის არაოპტიმალური მუშაობით, რაც გამონვეულია აფხაზეთთან ურთიერთობის პრობლემებით. უფრო დეტალური განმარტება შეიძლება იხილოთ ჩვენს [პოსტში](#).

წყარო: [www.esco.ge](http://www.esco.ge)

**მოსაზრება:** ახალი ჰესები არაეფექტურად მუშაობს და ვერ გადიან საპროექტო გამომუშავებაზე.

### მხოლოდ ნაწილობრივ მართალი.

-  მართლაც, შუახევჰესი უხარისხო მშენებლობით, ხოლო დარიალის და ლარსის ჰესები კი დევდორაკის მეწყრით დაზიანდნენ, თუმცა, ამჟამად ყველა ჰესი (გარდა მესტიაჭალა 1-ს) მუშაობს. მხოლოდ დარიალის ჰესი გამოიმუშავებს ქალაქ ბათუმისთვის წლიურად სამყოფ ელექტროენერჯიას. 2020 წელს ბათუმმა მოიხმარა 425 გვტსთ, დარიალი ჰესმა კი გამოიმუშავა 446 გვტსთ, რაც სხვაგვარად დამატებითი იმპორტით უნდა შემოგვეტანა, რითაც იმპორტი 2 ტვტსთზე მეტი, ანუ მოთხოვნის 16% გახდებოდა. გასათვალისწინებელია ასევე რომ 2020 წყალმწირი წელიწადი იყო რამაც ჰესის გამომუშავება შეამცირა.

წყარო: [www.esco.ge](http://www.esco.ge)

**მოსაზრება:** ჰიდროელექტროსადგურების არაეფექტური მუშაობის მიზეზი წყალსაცავების დასილვაა. მაგალითად, ვრცელდება ლაჯანურის დაცლილი წყალსაცავის კადრები.

### მეტნილად მცდარი



წყალსაცავების ნატანით შევსება იმდენად არ ცვლის ელექტროენერჯის ჯამურ გამომუშავებას, რამდენადაც ამცირებს მათ მანევრულობას და პიკებში მუშაობის შესაძლებლობას. წყალსაცავები დასილულია გუმათის, ვარციხის და სხვა სადგურებზე, რაც ძირითადად გამოწვეულია მათი ექსპლუატაციის პირობების დარღვევით. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო 90-იან წლებში, როდესაც, ელექტროენერჯის დეფიციტის პირობებში, წარმოუდგენელი იყო სადგურების გაჩერება და მათი წყალსაცავების გამორეცხვა. ენერგეტიკულ ბირჟაზე ელექტროენერჯით საათობრივმა ვაჭრობამ შეიძლება გააჩინოს ამ წყალსაცავების ამონმენდის ეკონომიკური სტიმულები. ცნობისთვის, 2016-2019 წლებში ლაჯანურჰესი თავისი საპროექტო გამომუშავების 90%-ს იძლეოდა.

წყარო: <https://bit.ly/3dwqlm8>, ენერგო-პრო ჯორჯიას მონაცემები.

**მოსაზრება:** გადამცემ ქსელში მაღალი კარგვები შთანთქავს ახალი სადგურების გამომუშავებას (“გზაში იკარგება”).

### მეტნილად მცდარი



საქართველოს გადამცემი სისტემის კარგვები 2%-ია, რაც საკმაოდ დაბალია და საერთაშორისო სტანდარტებს არ ჩამოუვარდება. სემეკის წამახალისებელი რეგულირება ამ მცირე კარგვების შემცირებასაც ახალისებს, მაგრამ პოტენციალი არც ისე დიდია. „სასადგურე დანაკარგები“ 1.7%-ია, რაც სინამდვილეში ჰიდრო და განსაკუთრებით თბოელექტროსადგურების საკუთარ ტექნოლოგიურ მოხმარებას წარმოადგენს.

წყარო: ესკო - <https://esco.ge/energobalansi/by-year-1>

სემეკი - <https://bit.ly/3mOHCdk>

მცდარ მოსაზრებებთან ერთად, ისმება სავსებით **ლეგიტიმური კითხვები**, მდინარეების სააუზო მართვის, მდგრადი განვითარების, გარე ფაქტორების (externality) გათვალისწინების, დაგეგმვის და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში ჰესების წილის შეფასების და მრავალი სხვა ეკონომიკური, იურიდიული, უსაფრთხოების, თუ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ყოველთვის გასათვალისწინებელია.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ზოგადი შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) მიერ მომზადებულ [სიღრმისეულ მიმოხილვაში](#)